№ 25–26. თბილისი. 1943 წ. გამოცემის წელი XX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 1 მან.

# ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აუსრულდათ...

გერმანელთა საზაფხულო შემოტევის წინა დღით ფაშისტი მეთაურები ეუბნებოდნენ თავიანთ „ვეფხვებს“: ეხლა თქვენ გეძლევათ ხუთი დღის სურსათი, შემდეგ ულუფას კურსკში მიიღებთ“.

გაზეთებიდან

ნახ. დონის




—გეძლევათ ხუთი დღის სანოვაგე... დანარჩენს მიიღებთ კურსკში.

ნახ. ს. ნადარეიშვილის



... და მართლაც მიიღეს

## ბანკეტზე

ჟენევის ჟურნალისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ამბავი რუმინეთში რიბენტროპის მოგზაურობის შესახებ, ანტონესკუს მის საპატივსაცემლოდ დიდი ბანკეტი გაემართა, რომელსაც დასწრებოდნენ ღერძის სახელმწიფოთა დიპლომატები და რუმინეთის მთავრობის წევრები. ვახშმის შემდეგ სტუმრები სასადილო ოთახიდან სალონში გასულან. რიბენტროპი და ანტონესკუ ტკბილად საუბრობდენ თურმე. ამ დროს რიბენტროპს სახლში წასვლა მონდომებია და ჯიბეში ხელი ჩაუყვია, რომ საათი ამოეღო, მაგრამ საათი აღარ აღმოჩენია. რიბენტროპს სახეზე შეწუხება აღბეჭდია, რაც ანტონესკუს შეუმჩნევია და მისთვის მორიდებით უკითხავს:

— ნეტა რა მოხდა? ხომ არაფერი დაგკარგვიათ?

— დიახ, რამდენიმე წუთის წინათ ჯიბეში საათი მქონდა და ახლა კი...

— სამწუხაროა,—უთქვამს ანტონესკუს,—ნეტავ ვისთან იჯექით? როგორც მახსოვს-თქვენს მარცხნივ ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი იჯდა. ახლავე, ახლავე...—და ანტონესკუ სალონის მეორე კუთხეში მინისტრთან მისულა და რამდენიმე წუთის შემდეგ ძვირფას სტუმრის წინაშე სახებრწყინვალე დაბრუნებულა.

— აი, მგონი თქვენი საათი!

— სწორედ ჩემია! რიბენტროპს სასწრაფოდ ჩამოურთმევია მისთვის საათი და ჯიბეში ჩაუდვია. ნეტავ რას ამბობს თქვენი მინისტრი? შეკითხებია იგი ანტონესკუს.

— გთხოვთ დამშვიდდეთ,—მიუგია მისთვის ანტონესკუს,—მას არაფერი უთქვამს რადგან ვერც კი მოასწრო რამეს თქმა, ისე ამოვართვი საათი ჯიბიდან.

ამ დროს რუმინეთის „ფიურერს" მხიარული სახე შეცვლია: ოქროს პორტსიგარი ჯიბეში არ აღმოჩენია...

## დროს დააბრალე

გაზეთი „მიუნხენ ნეიესტე ნახრიხტენ" ზამთარში წერდა: „გრძელი ზამთრის ღამეები მუდამ უარყოფითად მოქმედებდნენ გერმანელთა სულიერ განწყობილებაზე".

ნახ. დონისა



გერმანელი კორესპონდენტი—ბატონო გენერალო, რითი ხსნით ზამთარში, საბჭოთა კავშირის ფრონტზე ჩვენს სასტიკ დამარცხებას?

გენერალი—გერმანელებზე ძლიერ ცუდათ მოქმედებს ზამთრის სუსხი და გრძელი ღამეები.

კორესპონდენტი—კარგი, მაგრამ ზაფხულშიაც რომ ვმარცხდებით, ამას რით ხსნით?

გენერალი—ეს კი ზაფხულის სიცხეებსა და გრძელ დღეებს უნდა დავაბრალოთ.

## ჰიტლერის საჯდომი ადგილი

ნახ. ხ. ნადარეიშვილისა



I. დღეს



II. ახლო მომავალში

## ან რაღა ჰქნას „ფიურერმა"

აწ რაღა ჰქნას „ფიურერმა"
ბრაზობს, დორბლი უმკობს ტუჩებს;
ღერძი შუა გადაუტყდა,
პანღური ჰკრეს იმის „დუჩეს".

თუმც ვაჟკაცად არა თვლიდა,
ბენო იყო მაჩანჩალა,
მაგრამ სულ მთლად დაეკარგოს
ხომ არ არის ალა-ბალა?

მაგრამ „დუჩეს" ვინღა ჩივის
ჯანი გასძვრეს, რადგან წახდა,
ეხლა ტირის „ფიურერი"
რომ ფაშიზმი გაპარტახდა.

ასე უცებ გაკოტრება
ქვეყანაზე არ ნახულა,
ფაშისტური დიქტატურა
სულ ინგრევა ვით ხუხულა.

იტალია ხომ ფაშიზმის
წარმომშობი იყო კერა?
აწ რაღა ჰქნას „ფიურერმა"
ასტეხია გულის ძგერა.

„ვაჰ თუ ხალხმა ბერლინშიაც
რომს მიჰბაძოს აღსდგეს შურით,
როგორც „დუჩე" „ფიურერიც"
გადააგდონ ძირს პანღურით?

დღეს ხომ ფეხქვეშ გასთელავენ,
მომავალიც შეაჩვენებს,"
ასე ჰფიქრობს „ფიურერი"
და ეს ფიქრი არ ასვენებს.

აწ რაღა ჰქნას „ფიურერმა"
ბრაზობს, დორბლი უმკობს ტუჩებს,
წინასწარ გრძნობს,—დღესა თუ ხვალ
პანღურს ჰკრავენ, როგორც „დუჩეს".

მ. გრიგალიძე

## ვინ რას ურჩევს ახლა დუჩეს

### ჰიტლერი

არ მოველოდი
ასე ჩქარა დაეცემოდი...
თუმცა რას იზამ',
სხვა გზა არა გაქვს, ჩემთან წამოდი.

აქ მოგათავსებ,
საკუთნარს მოგცემ ოთახად,
იცხოვრებ ისე,
არა როგორც გჩვევია ლაღად.

მაგრამ, ვაი თუ
შენს ბედში მეც ჩავვარდე მალე
მიტომ, მანდ დარჩი,
მხოლოდ გვარი გამოიცვალე.

რათ გინდა გვარი
მუსოლინი,—უვარგისია,
ხომ შეასრულე
შენ მაგ გვარით შენი „მისია"?

### ანტონესკუ

ნეტავ ვღირსო
შენს ბედს ადრე და არა გვიან,
თორემ ვიცი, რომ
ამ ქვეყნიდან ჩქარა ამგვიან.

რა გითხრა დუჩე,—
ერთად ერთი გზა დაისახე,
გაიქეცი სადმე
მიუვალი სადგომი ნახე.

### ლავალი

თვით ვერ ვნახულობ
იმედის გზას და გამოსავალს
ძილშიაც მესმის,
ჩამძახიან: სიკვდილი ლავალს!

ახლა კი შენებრ
მეც მედება გულს ტანჯვის ალი.
რა გიყო? ისევ
ვრჩები მარად...
შენი ლავალი.

ქიშვარდი

## პატარა მოთხრობები

### მატარებელში

— დიდი ამბების მოწმენი ვართ! უთხრა სათვალებიანმა მოქალაქემ თავის თანამგზავრს, როცა წაიკითხა გაზეთში მუსოლინის გადადგომის ამბავი.

— მართლაც დიდი ამბები ხდება. ნეტა მაცოდინა რა იქნება 1944 წელს?—სთქვა სათვალებიანის თანამგზავრმა.

— ერთი რამ უთუოდ იქნება!—უპასუხა სათვალეებიანმა.

— მაინც რა?—დაინტერესდა თანამგზავრი.

— რა და გაზეთებში ხშირი იქნება ასეთი ფრაზები: „ისტორიას ჩაჰბარდა ის დრო როცა ევროპაში ფაშისტები პარპაშობდნენ..." „მას შემდეგ რაც ჰიტლერელ ავაზაკთა ბატონობას ბოლო მოეღო".. „დაიმსხვრა ფაშისტური მონობის ხუნდები..." „ეხლა ქვეყანაზე აღარ არის ნაცისტების ხსენება..."

### დიალოგი

— გაიგე, კრასნოდარის პროცესის ამბები?—რა განაჩენი გამოუტანია სამხედრო სასამართლოს ხალხის მოღალატე ვერაგებისათვის?

— ოხ!.. გავიგე, როგორ არა.

— რატომ „ოხ!" განა ღირსნი არ იყვნენ ჩამოხრჩობის?

— ვინ ამბობს ღირსნი არ იყვნენო. ღირსნიც იყვნენ და ახიც არის მათზე მაგრამ...

— მაგრამ რა? რაღა გაწუხებს?

— მე იმაზე ვწუხვარ, რომ ჰიტლერი და მისი მთავარი ავაზაკები ჯერ კიდევ ვერ ჩავიგდეთ ხელში, რომ იმათთან ერთად ისინიც ჩამოვკიდოთ.

### ისევ ისე

— ბერლინიდან ფრონტზე ახალ ჩასულ ფრიცს ეკითხება თავისი მეზობელი ჰანსი:

— რა არის ახალი, ბერლინში?

— არაფერი, ისევ ძველებურადაა ყველაფერი.

— მაშ ისევ სიმშილობაა? ისევ ანგრევენ ქალაქს მოკავშირეთა ბომბდამშენები? ისევ იჭერენ გესტაპოელები ყველას, ვინც კრინტს დასძრავს?

მურმანი

## „ჯიუტები"

ნახ. გ. ისაევისა



— რა ჯიუტები არიან მოკავშირეები, რამდენი არ ვუმტკიცეთ რომ ევროპას შეუვალი ზღუდეები აქვს შემოვლებულიო, მაგრამ ვერ დავაჯერეთ და მაინც შემოდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის სალაპარაკო

## ცნობისმოყვარე

— გამარჯობა, ძვირფასო ჰანს! სად დაჰკარგე კაცო ეს მარჯვენა თვალი?

— ყუბანში.

— უთუოდ დიდ ჯილდოს მოგცემს ფიურერი?

— დარწმუნებული ვარ. მაინც, შენ თუ იცი, ჩვენი ფიურერი ცოლიანია?

— არ ვიცი. რა იყო?

— ისე. დიდი არაფერი. სურვილი მაქვს თუნდაც ცალი თვალით შევხედო მის ქვრივს.

## დრამა, რომელიც კარგად ბოლოვდება

პარიზის კინოში ვსხედვართ. მიდის საუცხოო სურათი—მხოლოდ გერმანელებისათვის. აჩვენებენ დრამას. ცოლმა მიატოვა ქმარი და გაიქცა თავის შეყვარებულთან ერთად. თავით ფეხამდე იარაღით შეჭურვილი ქმარი დაედევნება მათ. გაქცეულები იმალებიან ზღვის პირად მშვენიერ სასტუმროში. ისინი სხედან თავიანთ ოთახში, სვამენ ღვინოს, მიირთმევენ ხილს და ფიქრობენ სრულ უსაშიშროებაზე... მაგრამ უცებ იღება კარები, ვიღაცამ შემოაგდო ხელყუმბარა. მან გამოიწვია საშინელი აფეთქება.

— შეყვარებულები ააფეთქა?

— არ ვიცი რა მოხდა შემდეგ, —მე არ შემეძლო გამეგო.

— რატომ?

— მე თქვენ გითხარით ხელყუმბარა შემოაგდეს კინოში მეთქი. ხუთმეტი გერმანელი ჯარისკაცი დაიჭრა, ცხრა მოკლულია, მე კი კონტუზიით გადავრჩი.

# თავაზიანი მასპინძელი

ოკუპირებულ ქვეყნებში ხშირია ბურგომისტრების მკვლელობა.

ნახ. დონისა



იუგოსლაველი პარტიზანი:—აგისრულე ნატვრა: ამ ქვეყნიდან ფეხით წასვლას აპირებდი და ფრენით გაგისტუმრე!

# ბანდიტები სამეფოში

ნახ. გ. ისაევისა



ბანდიტ ჰიტლერს კვლავ უპყრია
სისხლიანი ხმალი ხელში,
თუმც დიდი დღე აღარ დარჩა,
ჯერ კიდევ ზის სავარძელში,

დღეს ზის... მაგრამ ხვალინდელი
დღის აღარ აქვს აწ იმედი,
დაყირავებული „დუჩეს"
მას აშინებს მწარე ბედი.

1. ეს გერინგი ტრაბახობდა,
ჰაერში მაქვს მკვიდრი ბინა,
ჩემს უსწრაფეს „მესერშმიტებს"
ვერვინ დაუდგება წინა!„

მაგრამ ფაქტმა, იმ ჯიუტმა,
იგი დიდად მოაწყინა,
მისი გეგმა და ოცნება
სულ გაჰფანტა, ააფრინა.

2. წუპაკ გიმლერ[...] არ იცნობს,
არ აკლებს გუშ[...]იდებს,
ის განაგრძობს თ[...]საქმეს":
ვინც კრინტს დაძ[...] ყველას ჰკიდებს.

3. თუმც ნილაბებ[...]აგულსა
ყველა იცნობს რ[...]ოპის,
კვლავ განაგრძობ[...]ის ხელობას,
ეს მასხარა მთელ[...]ოპის.

4. ცრუპენტელა [...]ონა
დაუღლელად, გ[...]დგინეთ,
ჩეკავს იხვის წინ[...]ა —
და კვლავ აფრენ[...]გორც წინეთ.

5. თავდაყირა დამხობილსა
მუსოლინს ხომ ხედავთ ბენოს,
„ბევრი შრომით დალალულსა"
ამ პოზით მხამს მოიხვენოს.

6. ეს გამცემი ლავალია,
დაბმულია მონის ულლით,
მხურს ფრანგები ჰიტლერის წინ
დააჩოქოს ორივ მუხლით.

7 და 8. ხორტისა და ანტონესკუს,
ძველ ბანდიტებს, არა ახლებს,
„ფიურერი" დიდად სწყალობს,
ჯაჭვით აბამს როგორც ძაღლებს.

# ფრონტის იუმორი

## ტოტალური მობილიზაცია

— ერთი შეხედეთ, როგორი გამხდარია და ფეხოდ[...]ნას იწონის.

— რად გიკვირთ, ბატონო ექიმო: მე ცალი ფეხი ლითონის მაქვს.

(„ფრონტის სიმართლე")

## [illegible]

წითელი არმიელი მიჰმართავს ტყვე გერმანელს:

— გვითხარით, იცნობთ ჰენრიხ ჰეინეს?

— როგორ არა! ის ჩვენი გერმანელი მწერალია. მე მისი წიგნები ძალიან ბევრი დავსწვი.

(„სამშობლოს პატრიოტი")

## ბერლინში

— ღამე მშვიდობით, ბატონო პუკე!

— რითი[...]იცით, რომ ღამე მშვიდობიანი იქნება?

(„სამშობლოს პატრიოტი")

## ფრიცთა შორის

— შენ გაიგე, ფრიც? გერინგს თავის სიტყვაში უთქვამს, რომ სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად მოჰკლავენ გერმანელ ჯარისკაცს, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ამით მან შეასრულოს თავისი მოვალეობა.

— მე კი მსურდა მალე გამეგო, რომ პატივცემულმა გერინგმა ბოლოს და ბოლოს შეასრულა თავისი მოვალეობა.

(„სამშობლოსათვის")

# ბერლინის „იდილია"

ნახ. ი. კროტკოვისა



— რა საუცხოვო ღამეა. ცა სარკედ ქცეულა... შეხედე, გენაცვალე!

— რა ეშმაკები მინდა ცაში... მოკავშირეთა ბომბდამშენები მიწაზედაც არ გვაყენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცხემ შეაწუხა

ნახ. ა. პოდოლიაკისა



გერმანული „ვეფხვი“—რა ამბავია მეგობარო, იქ, აფრიკაში?
აფრიკული ვეფხვი—სიცხეები დაიჭირა.
გერმ. „ვეფხვი“—არ დაიჯერო, რაც ახლა ჩვენ რუსეთში სიცხე დაგვიდგა, ასეთი არავის გამოუცდია.

# ისევ ჩაიცვა შავები

„გერმანიის სარდლობა ახალ შეტევის დროს დიდ იმედებს ამყარებდა მძიმე ტანკის ახალ ტიპზე „ვეფხვის“ სახელწოდებით—ეს იმედები სავსებით გაუცრუვდათ, რადგან საბჭოთა მებრძოლებმა ხსენებული ტიპის ტანკები ათასობით დასწვეს და დაამსხვრიეს.

გაზეთებიდან.

„ფიურერმა“ მთელ მსოფლიოს
ამცნო ტექნიკის მიღწევა,
სთქვა, თუ ჩემს ხელში ყოველი
სასწაულებათ იქცევა.
ტანკი ავაგე, რა ტანკი
ავ თვალს არ ენახებაო,
„ვეფხვი“ დავარქვი სახელად
ერთ კილომეტრზე ხტებაო.
ამ დევგმირებით რუსეთთან
ანგარიშს გავასწორებთო,
ქვეყნად ვერავინ გაუძლებს
ჩვენი ფოლადის ტორებსო!
სთქვა და სწრაფ აღმოსავლეთით
„ვეფხვებმა“ იწყეს გრიალი,
გადააყრუეს ველები
თავისი უშნო ღრიალით.
მაგრამ უეცრივ გაისმა
ქვემეხთა ჭექა-ქუხილი
და ბაქა-ბუქა „ვეფხვებსა“
აუტყდათ გულის წუხილი...
გადაიფარა ველები
„ვეფხვთა“ დამსხვრეულ გვამებით
და გერმანიის სარდლობამ
ისევ ჩაიცვა შავები!

დ. ჯავშანიძე

# ფაშისტების წინაპრები

(სცენა)

**ხამხედრო ტრიბუნალის წევრი ვასილ ეგორის-ძე სინდისაროვი მისი ვაჟი ანდრია ვასილი-ძე და ცოლი ლიუბა პეტრეს ასული საუბრობენ:**

**ანდრია** (მამას)—რა საძაგლობაა! მართლა მხეცი ყოფილა იგი ფაშისტი ტყვე. მოსამართლეც რომ ყოფილა! ახ, ერთი ჩამიგდო ხელში, მას უჩვენებდი როგორ უნდა ხალხის გასამართლება.

**ვასილ ეგორის-ძე**—გაუსამართლებლად ჩვენ არავის ვსჯით! ისინი კი ჩვენ პირუტყვებთან გვათანაბრებენ და ამიტომაც არ გვასამართლებენ.

**ანდრია**—გამოდის, რომ ჩვენ ისე გვექცევიან, როგორც პირუტყვებს.

**ვასილ ეგორის-ძე**—ცოტა უარესად. ჩვენთვის სასამართლო არ არსებობს. პირუტყვებს კი გერმანელები საშუალო საუკუნეებში სასამართლოს უნიშნავდნენ ახლანდელი გერმანელებიც ხომ საშუალო საუკუნის კულტურას ქადაგებენ.

**ანდრია**—რაო, რას ამბობ, მამა? პირუტყვებს სასამართლოს უნიშნავდნენ?

**ლიუბა პეტრეს ასული**—ეგ წარმოუდგენელია, ვასილ ეგორის-ძე!?

**ვასილ ეგორის-ძე**—ისტორიულ ფაქტს გეუბნებით. 1873 წელს რუდოლფ გაბსბურგელის მამულში გახელებულმა ხარმა კაცი დაგლიჯა. იგი დაიჭირეს და პასუხისგებაში მისცეს. შესდგა სასამართლო, რომელმაც ხარს განაჩენი გამოუტანა სასამართლომ „დამნაშავეს“ ჩამოხრჩობა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

**ლიუბა პეტრეს ასული და ანდრია**—ზღაპარია, ვერ დავიჯერებთ!

**ვასილ ეგორის-ძე**—გეუბნებით ისტორიული ფაქტია—მეთქი. აი, კიდევ ერთი შემთხვევა. 1457 წელს გამბურგში ირჩეოდა საქმე ერთი ღორისა და მისი შვიდი გოჭის, რომელთაც ბრალათ ედებოდათ ხუთი წლის ბავშვის მოკვლა. სასამართლო შესდგა. დამნაშავეს დამცველები დაუნიშნეს. სასამართლომ ღორი და გოჭები დამნაშავეთ სცნო და ღორს მიესაჯა ჩამოხრჩობა უკანა ფეხებზე ჩამოკიდებით. (ლიუბა პეტრეს ასული და ანდრია იცინიან) თუ გნებავთ კიდევ ერთი ფაქტიც. მიუნხენში 1529 წელს უცნაური პროცესი მოეწყო ერთ-ერთი მამლის „ბოროტმოქმედების“ გამო. ხსენებული მამალი უდროვო დროს იყივლებდა თურმე და მოქალაქეებს აღვიძებდა. ამ საქმის გარჩევისას „დამნაშავეს“ დამცველი ცდილობდა თურმე დაერწმუნებინა მოსამართლეები იმაში, რომ იგი მამალი, რომელიც მუდამ არაჩვეულებრივ დროს ყიოდა,—ღვთიური ნებით იყო ქვეყნად მოვლინებული და ამიტომ, როგორც ასეთი სასჯელისაგან უნდა ყოფილიყო განთავისუფლებული. დამცველის ამ არგუმენტებს სასამართლო არ დაეთანხმა და მამალს მიუსაჯეს სიკვდილი დაწვით.*) (ლიუბა პეტრეს ასული და ანდრეი გულიანად ხარხარებენ).

ხან.

---

*) ეს ცნობები ამოღებულია ჟურნალ „ოგანიოკიდან“

# დროს

ნახ. ს. ნადარეიშვილისა




I. 1940 წელი. როცა ლონდონს ხვდებოდა ყუმბარები.

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კომენდანტი

ბესარიონ კვინტრაშვილი ჩვენი სახლის კომენდანტია, ჩინებული ყმაწვილი ახალგაზრდა, მუდამ კოხტად ჩაცმული, გაპარსულ-გაკრეჭილი. თავდაბალი და თავაზიანი. მისგან შეწუხებული მდგმური არავის ახსოვს. თვითონაც თავს არიდებს მდგმურებისაგან შეწუხებას.

ოღონდ ბინის ქირა დროზე მიბოძეთ და ჩემი თავი გენაცვალოთ, თუ გნებავთ ამ სახლში ერთხელაც არ შემოვალო,—ხშირად გაიგონებთ მისგან. დროზე ქირის ალებად კი მას მიაჩნია, თუ ქირას ერთი თვით ადრე გადაუხდით.

— რა ვქნა, კი შეგაწუხებთ, მაგრამ იმედია ხელს შემიწყობთ გეგმის შესრულებაშიო, ამბობს იგი. და მასაც ჩვენი სახლის მდგმურები ხელს უწყობენ ამ საქმეში, განსაკუთრებით დიასახლისები, .რომლებსაც არ უნდათ ბესიკოს წყენა როგორც მას უწოდებენ ხოლმე.

და მართლაც, როცა ბესარიონი „თავის დროზე“ მდგმურებისაგან ბინის ქირას მოაგროვებს, იგი მოჩვენებასავით გაქრება და ჩვენი სახლი მეეზოვე კარაპეტას ანაბარად რჩება. როცა მას შეეკითხებით,—ბესარიონ, რატომ გვივიწყებთ და ჩვენს სახლს არ ნახულობთო—თავაზიანად გიპასუხებთ:

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი წუთი მოცლა არა მაქვს, ხომ ხედავთ რამოდენა სახლი მაბარია, ოთხი სართულია, 50 მდგმური. მაგას კიდევ გაუძლებდა კაცი, მარა ამ კრებებს თავი ვერ გავართვი. თუ მეტი არა, დღეში ორი-სამი კრების ჩატარება მაინც მიხდებაო.

სხვათაშორის, ბესარიონს ჩვენი სახლის ეზოში ვერ შეიყვანთ. ქუდი რომ შეუგდოთ არ შევა. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ეზო არც ისეთ სანახაობას წარმოადგენს, რომ ვინმე მიიზიდოს, სანაგვე ყუთიდან მთელი დღე ისეთი შმორი ამოდის, რომ მაგარი ვაჟკაცი თუ არ ხარ, ფეხზე ვერ დადგები.

ერთხელ, როგორც იყო იგი ეზოში შევიტყუე და ვუთხარი:—ბესარიონ, სანაგვე ყუთის გასუფთავებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციო—მეთქი. მანგამიღიმა და მოკრძალებით მიპასუხა:—მე კი მეგონა ამ სახლში კულტურული ხალხი ცხოვრობდით. კულტურულ ადამიანებს განა ამდენი ნაგავი უნდა გქონდეთო..

ამ დღეებში ჩემსა და კომენდანტს შორის სერიოზულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სახლთა სამმართველოში უნდა წავსულიყავი და მასზე საჩივარი შემეტანა, მაგრამ დიასახლისები ჩაერიენ ამ საქმეში და კომენდანტის მხარეზე დაირაზმნენ. იძულებული გავხდი დათმობაზე წავსულიყავი. ინციდენტი გამოიწვია ჩვენი სახლის სახურავმა, რომელიც რამდენიმე წელიწადია შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ ამ საქმისათვის არავინ ზრუნავს. გუშინწინ წვიმა მოვიდა და ჩემს ოთახში იმოდენა წყალი დაგუბდა, რომ იძულებული გავხდი ქუჩაში ცურვით გავსულიყავი და ბესარიონი მომეძებნა. იგი სახლთა საბინაო კანტორის წინ აყუდებულიყო და მოანგარიშეს ესაუბრებოდა. დანახვისთანავე გამიცინა და შემეკითხა—ბატონო ფარნა, ბინის ქირისათვის როდის მოგაკითხოთ. ბრაზი მომივიდა, მაგრამ თავი შევიკავე. ჩვენი სახლის სახურავის შესახებ მოვახსენე.

ბესარიონმა დამამშვიდა: ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონო ფარნა. სანაძლეოს დავდებ, რომ ხვალ წვიმა გადაივლის და სახურავსაც შეკეთება აღარ დასჭირდებაო

და მართლაც, მეორე დღეს მზიანი დარი გამოვიდა. ჩემს ოთახში დამდგარი წყალი დაშრა და მეც ახლა ძველებურად განვაგრძობ კეთილ ცხოვრებას.

ასეთია ჩვენი კომენდანტი, რომელიც ჩვენს ზოგიერთ დიასახლისებს რომ „თვალში ჩაუვარდეს“—მასზე ცუდს ვერ ათქმევინებთ. და ეს იმიტომ, რომ იგი ახალგაზრდა ყმაწვილია, მუდამ კოხტად ჩაცმული, გაპარსულ-გაკრეჭილი, თავდაბალი და თავაზიანი.

ფარნა ქვემეხაური

# მიხედვით

ფაშიზმის ზოგიერთი თეორეტიკოსი, რომელიც ადრე ომს აღმერთებდა, ახლა სინანულს გამოსთქვამს და მშვიდობიანობას ნატრობს.

(გაზეთებიდან)




II. 1943 წელთ, როცა ბერლინს აყრიან ყუმბარებს.

# ფრანგული მასპინძლობა



— დაუვიწყარია ჩემთვის ფრანგი პატრიოტები: ბერლინიდან მათთან ორი ფეხით ჩამოვედი და ბერლინში კი ორნახევრით მისტუმრებენ.

# მისი სურათი

(მ ი ბ ა ძ ვ ა)

შეომარი ლომკაცა სატრფოს როცა სტოვებდა,
უსახსოვრა ამბორი თვალის ქუთუთოებთან.
თან აღუთქვა მას გმირმა ხსოვნა კუბოს კარამდი,
„ოღონდ,—სთხოვა—ხშირხშირად მისახსოვრე ბარათი“.
წავიდა და დასტოვა სატრფო ყელმოღერილი..
თვეც არ იყო გასული ფრონტზე მოდის წერილი:
„შა, გიგზავნი ჩემს სურათს, მაგრამ ერთი პირობით.
მასახელე ტოლებში მამაცობით, გმირობით.
რამდენ მტერსაც განგმირავ ჩამოუსვი ხაზები
ამ ჩემს ფოტოსურათზე... მოგელიან ვაზები.„
გაიხარა ლომკაცმა, იგი სნაიპერია,
თვალი უჭრის, აქებენ, „სანადიროც“ ბევრია.
დავალებას ასრულებს და ყოველ ცისმარე დღე,
ხელში ფანქრით ვაჟკაცი, ხაზებს უსვამს სურათზე.
ხაზი ხაზს ემატება, გაჩნდა ხაზთა ბწკარები„
მტრის „სულები“ „ცისაკენ“ ჰქრიან, როგორც ქარები.
უხარია სნაიპერს, ჰმუნვა არ ეკარება,
მაგრამ ერთ დღეს მის სახეს დაეტყო მწუხარება
„გულის ხაზზე“ უეცრად სევდამ იწყო შეტევა:
მის სურათის თეთრ გვერდზე ხაზი აღარ ეტევა!
მეორეზე—ფოტოა... აი ფიქრი მსუსხავი!
ოცდახუთი ტევტონი დარჩა აღუნუსხავი.
ამ რიცხვს კიდევ ხომ უნდა მიემატოს მრავალი?
მაგრამ უცებ ლომკაცმა ნახა გამოსავალი:
გაუგზავნა თვის სატრფოს მან საჩქაროთ ბარათი,
შეუთვალა: „გალხენდეს სიხარული მარადი...
მომაწვდინე ხელახლა შენი ფოტო ქებული,
მაგრამ ერთის პირობით: იყოს გადიდებული“.

ხ. ისარიძე

43-73

# ხარა-ხურა

ნახ. ღონისა

„იტალიაში დემონსტრაციები გრძელდება. ერთ-ერთ ფაშისტური [illegible] შენობიდან დემონსტრანტებმა ნივთები ქუჩაში გამოყარეს და ცეცხლი წაუკიდეს".

გაზეთებიდან



შავი დღე უდგად ფაშისტებს
სულს ლევენ ვიშით, აჰით,
ჭიაკოკონა გაჩაღდა,
ბენიტოს ნაპარტახითა.

სარედაქციო კოლეგია.
Тбилиси. Сатирико—юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 5/VII. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. გამომც. № 28 შეკ. № 729 უე 9179